ახალი წიგნები

უილიამ ქიროლი. მეოცე საუკუნის მსოფლიო. საერთაშორისო ისტორია 1900 წლიდან. მე-6 გამოცემა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2015 – 883 გვ.

მეოცე საუკუნის ისტორიის მოქცევა ერთი, თუნდაც 900-გვერდიანი წიგნის ფარგლებში ადვილი საქმე არ არის. აქ პრობლემას ქმნის არა მასალის ნაკლებობა, არამედ მისი უაღრესი სიჭარბე. ავტორმა უნდა მაქსიმალურად „დაწუროს“ და შეარჩიოს ის ფაქტები, მოვლენები, თარიღები და პიროვნებები, რომელთაც შექმნეს მე-20 საუკუნის ისტორია.

და მაინც, მკითხველს, მით უმეტეს „პატარა“ ქვეყნის წარმომადგენელს გაუჩნდება უკმაყოფილების გრძნობა. ის ძალა-უნებურად ელის, რომ მისი ქვეყნის შესახებ უფრო მეტი უნდა იყოს დაწერილი, ანდა ჩათვლის რომ მთლად სწორად არაა წარმოდგენილი ის კონტექსტი, რომელშიც მისი ქვეყანაა მოხსენიებული.

წიგნის ავტორი აშშ-ის აკადემიური წრეების წარმომადგენელია და მე-20 საუკუნის ისტორიაც ამერიკული თვალით არის დანახული, სახელმძღვანელოც ამერიკელ სტუდენტებზეა გათვლილი. ფრანგი, რუსი, ჩინელი, იაპონელი, არაბი და სხვა ერის წარმომადგენლის მიერ დაწერილი მე-20 საუკუნის ისტორია, ცხადია, განსხვავებული იქნება ფაქტებისა და მოვლენების შერჩევის თვალსაზრისით. სწორედ ამიტომაც საინტერესო იქნება გასული საუკუნის ისტორიის ამ ვერსიების გაცნობაც.

როგორ არის ქილორის წიგნში წარმოდგენილი საქართველო? ზოგადად, პატარა ქვეყანა დიდ ყურადღებას არ უნდა მოელოდეს წიგნში, რომელიც მსოფლიოს ერთი საუკუნის ისტორიის მოკლედ გადმოცემას ისახავს მიზნად. მით უმეტეს, რომ საქართველო, სამწუხაროდ, მე-20 საუკუნის დიდი ნაწილის განმავლობაში დამოუკიდებელ სახელმწიფოს არ წარმოადგენდა და ჯერ მეფის რუსეთის, შემდეგ კი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იყო მოქცეული.

ქილორის წიგნში საქართველოს ხსენება სწორედ იქ იწყება, როდესაც ჩვენი ქვეყანა თავს აღწევდა რუსულ მმართველობას. საქართველოს, ისევე როგორც მისი მეზობელი სომხეთისა და აზერბაიჯანის ხსენება ქილორს რამდენჯერმე დასჭირდა 1918 წლის ვითარების აღწერისას, ბრესტის ზავთან დაკავშირებით (გვ.88-89). ქილორის თქმით, საქართველო „გერმანიის გავლენის ქვეშ“ მოექცა. კარგი იქნებოდა გაკვრით მაინც ეხსენებინა მომდევნო პერიოდში სამხრეთ კავკასიაში სამი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა და საბჭოთა რუსეთის მიერ მათი დაპყრობის ფაქტი.

ქილორი საქართველოს კვლავ ახსენებს საბჭოთა კავშირის დაშლასთან დაკავშირებით. თუმცა, მოვლენების აღწერა ბუნდოვანია და ზოგჯერ არაზუსტიც. ქილორის თქმით, „საქართველო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მცხოვრებლების სეპარატისტული გამოწვევების წინაშე დადგა, რომელთაც რუსეთის ფედერაციაში მათ ჩრდილოეთით მცხოვრებ თანამოძმეებთან გაერთიანება სურდათ“ (გვ.661); იქვე აღნიშნავს, რომ „1993 წლის შემოდგომაზე, საქართველოს სახელმწიფოს ახალი მეთაური, გორბაჩოვის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე იძულებული გახდა, ეკონომიური ქაოსისა და პოლიტიკური არეულობების შედეგად ქვეყანაში წესრიგის აღდგენის მიზნით, რუსეთის სამხედრო დახმარება ეთხოვა“.

გაცილებით მეტ ყურადღებას უთმობს ქილერი საქართველოს უკვე მე-20 საუკუნის ფარგლებს გარეთ - 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით. ქილორის თქმით, „2003 წელს საქართველოში მომხდარი „ვარდების“ რევოლუციის შედეგად ხელისუფლების სათავეში მკვეთრად ანტირუსული ელიტა მოვიდა, რომელმაც ღიად გამოხატა ნატო-ში გაწევრიანების სურვილი და მოითხოვა ქვეყნიდან რუსი მშვიდობისმყოფელების გაყვანა, რომლებიც ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისიდან აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ რეგიონებში წესრიგის დასაცავად იყვნენ განლაგებული“ (გვ.671). სააკაშვილს რუსი „სამშვიდობოების“ გაყვანა არ მოუთხოვია. საქმე ეხებოდა რუსეთის სამხედრო ბაზებს საქართვე-

ლოში, რომელთა გაყვანის თაობაზე მანამდე დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა მოლაპარაკებები.

აგვისტოს ომის წინა პერიოდის აღწერა გარკვეულ უზუსტობებს შეიცავს. ქილორის თანახმად, „2008 წლის გაზაფხულზე დასავლეთის მიერ რუსეთის პროტეჟე სერბიისგან კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებაზე პასუხად, მოსკოვმა საქართველოს ორი ანკლავის დამოუკიდებლობა აღიარა და გამოაცხადა მათი, როგორც რუსეთის ფედერაციის ავტონომიური რესპუბლიკების, დე ფაქტო ანექსია. იმავე წლის ზაფხულში ანტირუსულად განწყობილმა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ სამხედრო იერიში წამოიწყო, რასაც ხუთდღიანი ომი მოჰყვა საქართველოსა და რუსეთს შორის, რომელმაც სეპარატისტული რეგიონების დასაცავად ჯარები გაგზავნა“ (გვ.671).

მოსკოვის მიერ სოხუმისა და ცხინვალის „დამოუკიდებლობის“ აღიარება აგვისტოს ომის შემდეგ მოხდა და არა მანამდე, თავად აგვისტოს ომის დაწყება კი, ქილორის თანახმად, საქართველოს ხელისუფლების მიზეზით მოხდა. ქილორის წიგნის მე-6 გამოცემა 2011 წლითაა დათარიღებული. უკრაინაში განვითარებულმა მოვლენებმა დასავლეთი იძულებული გახადა რუსეთის აგრესიულობა დაენახა და უნდა ვიმედოვნოთ, რომ თავისი წიგნის ახალ გამოცემაში ქილორი სხვაგვარად შეხედავს მოვლენათა განვითარებას საქართველოშიც. როდესაც ქილორი საჭიროდ თვლის დაწეროს საქართველოში გაჩაღებულ კონფლიქტებზე და აგვისტოს ომზე, მართებულია მოველოდეთ მათ უფრო ობიექტურ წარმოჩენას და რუსეთის აგრესიის ადექვატურ ასახვას.